ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 14

7 ოქტომბერი 2022 წელი

ქ. ბაღდათი

11:00 საათი

2022 წლის 7 ოქტომბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე სიმონ ჭოლოკავა, გვანცა გრძელიძე, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, ნინო ფურცელაძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, გურამ ჩხეიძე, ზვიად გუმბერიძე, ნინო კვირიკაძე, შადიმან გორგოძე, მაია კბილაშვილი, ზაზა ზივზივაძე, გიორგი კოტორეიშვილი, ვლადიმერ წიქორიძე, დიომიდე კიკნაველიძე, მურად ბურჯანაძე.

სულ: 22 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე, ჯუმბერ რობაქიძე, ირაკლი გოგსაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, მაკა მესხი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ლერი გუმბერიძე- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ეზანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

მარიამ მაშანეიშვილი- საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანაშემწე.

თამთა ჯიხვაძე- საქართველოს პარლამენტის წერის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე რომელმაც საკრებულოს სხდომას წარუდგინა დღის წესრიგის საკითხი და აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომის მოწვევა განაპირობა მუნიციპალიტეტის მერის მომართვამ..

დღის წესრიგი

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 22 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ," ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და დადგენილების პროექტი სხდომაზე წარმოადგინა: ლერი გუმბერიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვეს: ვლადიმერ წიქორიძემ, ნინო კვირიკაძემ, ირინა ტყეშელაშვილმა, ნოდარ გიორგიძემ.

ვლადიმერ წიქორიძე-საკრებულოს წევრი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" , მან მოითხოვა მომხსენებლისაგან წარმოდგენილი ხარჯების გაშიფრა ა(ა)იპ-ისათვის, რატომ სჭირდებოდათ ხელფასებისათვის დამატებითი ხარჯები. ანალოგიური კითხვა ჰქონდა **ნინო კვირიკაძეს -საკრებულოს წევრი „გახარია-საქართველოსათვის".**

ლ. გუმბერიძემ უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ კითხვებს.

საკრებულოს სხდომა ადგენს:
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 19 დადგენილება:დ-67.6722280001
თარიღი: 07/ 10/2022 (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 15 წინააღმდეგი- 7 (ვლადიმერ წიქორიძე, ნინო კვირიკაძე, იოსებ კვირიკაშვილი, ალექსანდრე ფახურიძე, ზვიად გუმბერიძე, ნინო ფურცელაძე, კახა კოხოძე)

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: **ნოდარ გიორგიძე**